



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსაკრებელი

მოსაკრებელი, აუცილებელი გადასახდელი სახელმწიფოს ბიუჯეტში კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გარკვეული მომსახურების განწვევისათვის.

საქართველოში **მ**-ის სტრუქტურას, რაოდენობასა და შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი. არსებობს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილ. **მ**. საერთო-სახელმწიფოებრივი **მ**. არის სალიცენზიო და სანებართვო, სახელმწ. სერტიფიკატის, სარეგისტრაციო, სახელმწ. საექსპერტიზო, სახელმწ. ბაჟი, საკონსულო, წვევამდელთა ეროვნ. სამხ. სამსახურში განწვევის გადავადების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების, საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, ლატარიის მონყობისთვის დადგენილი სათამაშო ბიზნესისა და სეკიურიტიზაციის სპეც. მიზნობრივი ერთეულის ავტორიზაციის.

ადგილ. **მ**. არის მშენებლობის ნებართვის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების, სათამაშო ბიზნესის (გარდა ლატარიის მონყობისთვის დადგენილისა), კულტ. მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის, მშენებლობის თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის), დაჩქარებული მომსახურებისა და საკონტინერო.

მ. გადახდილად ითვლება, თუ მის მიმღებ ორგანოში წარდგენილია საქართვე. კანონმდებლობით დადგენილი **მ**-ის გადახდის დამადასტურებელი ან საქართვე. ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საბუთი ან დოკუმენტი. გადახდის დადასტურება ასევე

შეიძლება ელექტრონული ფორმით.

მ-ის განაკვეთები განისაზღვრება სახელმწიფო ან მუნიციპ-ის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე ან უფლების მინიჭებაზე განეული დანახარჯების ანაზღაურების პრინციპისა და სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით.
მ. წესდება ღარებით ან ფარდობითი სიდიდებით.

საქართველოში 2023-24 ადმინისტრაციულმა **მ**-მა და გადასახდელებმა (სალიცენზია, სანებართვო, სარეგისტრაციო, საკონსულო, წვევამდელთა სამსახურში განვების გადავადების, სათამაშო ბიზნესის, სხვა არაკლასიფიცირებული **მ**, სახელმწიფო ბაჟი) ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში შემოსავლების 1%-ზე ნაკლები შეადგინა. ამ **მ**-ებში ყველაზე არსებითია სანებართვო **მ**. და სახელმწიფო ბაჟი, რ-თა წილიც ადმ. მ-ებში 90%-ზე მეტი იყო; მუნიციპ-ებში კი ერთ-ერთი ძირითადი საბიუჯეტო შემოსავალია **მ**. სათამაშო ბიზნესიდან.

ი. უკმაჯურიძე

მ. თოქმაზიშვილი
